



**“საბავშვო უნივერსიტეტი”**

**საზაფხულო სამეცნიერო აკადემია 2010**

**ზოგადი ინფორმაცია**

ოსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი “საბავშვო უნივერსიტეტის” ფარგლებში საზაფხულო სამეცნიერო აკადემიას ატარებს. საზაფხულო სამეცნიერო აკადემია ემსახურება მიზანს გააცნოს სკოლის მოსწავლეებს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ინტერდისციპლინარული, ფუნდამენტალური და გამოყენებითი ასპექტები. მასში ის სკოლის მოსწავლეები მიიღებენ მონაწილეობას, რომელთაც განსაკუთრებული ინტერესი და სურვილი აქვთ კიდევ უფრო მეტად გაიღრმავონ ცოდნა ზემოთ აღნიშნულ მეცნიერებებში.

აკადემიის ფარგლებში დაახლოებით 12 სხვადასხვა თემატიკის 45 წუთიან სემინარ/მოხსენებას ნაციონალური და უცხოეთიდან დაბრუნებული საგნის სპეციალისტები და სტუდენტები წარმართავენ. მოსწავლეთა ჯგუფებს შორის მოხდება ზოგიერთი აქტუალური საკითხის განხილვა, რაც დისკუსიასა და გამოცდილების გაზიარებას შეუწყობს ხელს. დამატებით განსაზღვრულია ექსპერიმენტზე დაკვირვება, პრობლემური ამოცანების გადაწყვეტა, კვლევის, წერისა და პრეზენტაციის უნარების ვარჯიში ზუსტ და საბუნებისმეტყველო საგნებთან მიმართებაში, საკარიერო საათი, მოსწავლეთა ჯგუფური პროექტი/პრეზენტაცია და სხვა. საზაფხულო სამეცნიერო აკადემიის აქტიური მონაწილეებითსუ საზაფხულო სამეცნიერო აკადემიის დიპლომებითა და სერტიფიკატებით დაჯილდოვდებიან .

სამუშაო ენა ქართულია, მაგრამ მოსწავლეთა სურვილისა და შესაბამისი რაოდენობის მონაწილეთა არსებობის შემთხვევაში ზოგიერთი სემინარი უცხო ენაზე (გერმანული, ინგლისური) შეიძლება წარმართოს ან სინქრონული თარგმნით იქნას მიწოდებული.

2010 საზაფხულო სამეცნიერო სკოლის ზუსტი თარიღები ვებ გვერდზე 2010 წლის თებერვალში გამოქვეყნდება.

**უზრუნველყოფა**

მონაწილეები უზრუნველყოფილი იქნებიან სრული პროგრამით და შესვენებისას საკვებით.

### განაცხადის შეტანის ვადები

მოსწავლეთა შერჩევა სააპლიკაციო განაცხადით მოხდება. შევსებული და ხელმოწერილი განაცხადის ფორმა და დამატებითი საბუთები 2010 წლის 15 მარტიდან 15 მაისამდე შემდეგ მისამართზე მიიღება: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვისა და სამეცნიერო კვლევების სამსახური; ი. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ); ჭავჭავაძის 3, თბილისი 0128, თსუ II კორპუსი, ოთახი 226. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 290836.

ორგანიზაციული მიზეზების გამო მონაწილე მოსწავლეთა რიცხვი 30-მდეა შეზღუდული.

მოხარული ვიქნებით დაინტერესებული მოსწავლეების გამოხმაურებით.

### გელთ ი. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო

### უნივერსიტეტ ში!

2009 წლის საზაფხულო სამეცნიერო აკადემიის აკადემიური პერსონალი

ნელი საღარაძე	დიანა ძიმიგური
ნინო რობაქიძე	ნანა დვალიშვილი
ირინა ლაფერაშვილი	გელა ბესიაშვილი
ლელია გოდერძიშვილი	ჯემალ ანთიძე
ლალი ტურიაშვილი	თამარ ჭელიძე
მარინა გახუტიშვილი	გიორგი გიორგაძე
მაია რუსია	ილია თავხელიძე
შორენა სამაკაშვილი	ჯუმბერ კერესელიძე
რამაზ გახოკიძე	ხათუნა კახიანი
რამაზ ლომსაძე	იაგორ კალანდაძე
ნუგზარ მოსულიშვილი	
ილია ლომიძე	თსუ სტუდენტები:
იური პაპავა	ალექსანდრე ესაძე
დალი წაქაძე	ოლიგო ლეკაშვილი
მარინა შენგელია	

სტუმრები:

Prof. Dr. Yves Dumont, Université de Versailles - CNRS, France

Prof. Dr. Julien Barjon, Université de Versailles - CNRS, France

საზაფხულო სამეცნიერო სკოლის ხელმძღვანელი: ხათუნა კახიანი

ორგანიზაციული საკითხები: რუსუდან ინჭკირველი, მაია რუსია, მარინა გახუტიშვილი

2009 წლის საზაფხულო სამეცნიერო აკადემიის გამარჯვებულმა მოსწავლეებმა დიპლომებთან და სერტიფიკატებთან ერთად ერთი კვირა ინტენსიური ინგლისური ენის კურსიც მიიღეს საჩუქრად.

წარმოგიდგინთ გამარჯვებული მოსწავლეებს, რომლებიც მონაწილე მოსწავლეებმა თავად დაასახელეს:

თეორიული პროექტები:

1. ნინო და ალეკო ბაგაშვილები
2. ნოდარ და სანდრო წერეთლები
3. თამუნა ფაცაცია

ექსპერიმენტული პროექტები:

1. სოლომონ და ბექა კურტანიძეები
2. ლუკა აფციაური და ლევან სალთხუციშვილი

მადლობას ვუხდით ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტს მონაწილეთა საკვებით უზუნველყოფისათვის ხოლო ქეთევან წერეთელს ინტენსიური ინგლისური ენის ერთი კვირისათვის.

